# ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომა

## ო ქ მ ი#4

25 მაისი 2021 წელი

ქ.ბაღდათი 12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა:

გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გურამ ჩხეიძე

გრიგოლ ტაბეშაძე

გია სახამბერიძე

მაია კბილაშვილი

ტარიელ ჩაკვეტაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუძბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის წარმომადგენელი: ნაზიმი კბილაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: ზაური გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა.

მომხს. ლერი გუმბერიძე

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. კომისიის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა. აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს სამშენებლო მასალები სახურავები გადაცემული გვაქვს სტიქიით დაზარალებულთათვის, მაგრამ ვერ ხერდება ამ მასალის სახურავების გამოყენება და აღდგენითი სარემონტო სამუშაოების დასრულება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ უპასუხა გურამი კინაველიძეს ჩვენ გადავეცით სახურავები ვერ ახერხებენ თავიანთი რესურსებით დახურვას ყველა წარმომადგენელმა იცის მის სოფელში რა არის ნაშთად

კომისიის თ/მოადგილე: გურამ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ინვენტარიზაცია უნდა ჩაატაროს ეკონომიკის და ქონების სამსახურმა მოხდეს აღწერა ძველი ქონების ნუსხის მოძიება და შედარება რატომ მოვიწვიეთ ამ საკითხის შესასწავლად სხვა სამსახურები რატომ არ ტარდება ინვენტარიზაცია გაუგებარია ინვენტარიზაციის საკითხთან დაკავშირებით ჩავატაროთ რიგგარეშე კომისიის სხდომა 10 დღის ვადაში და გავარკვიოთ რა ხელისშემშლელი გარემოება არსებობს რატომ ვიხდით ბიუჯეტიდან ამ თანხას ვიმსჯელოთ ამ საკითხთან დაკავშირებით

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა გივი კობერიძეს, რომ არსებობს დავები მიწის აღიარების კომისიის მისამართით იწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას რა იგეგმება ამ მიმართულებით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს მიმდინარეობს დავების შესახებ სასამართლო პროცესები, რაც ჯერ-ჯერობით დაუსრულებელია

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კითხვით მიმართა გივი კობერიძეს, რომ ფეხბურთის გუნდი კლუბი საირმე ძალიან ცუდ დღეშია დაფინანსება არ აქვს რა ხდება ამ მიმართულებით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი: გივი კობერიძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ კლუბ საირმეს აფინანსებდა ფეხბურთის განვითარების ფონდი და დაფინანსება შეუწყვიტეს

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძემ გასათვალისწინებელია გეთანხმებით, მაგრამ აქ მოსაძევია თანხები მწრთვნელების და ხელფასები, რომ დაუბრუნდეს გუნდი თამაშებს

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას
კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულება მიმოხილვისათვის გადაეგზავნოს საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს სხდომას

შენიშვნები:

I კვარტლის შესრულების მონაცემებში გაანალიზებული არ არის „სხვა საქონელი და მომსახურეობის" მუხლით გაწეული ხარჯების პროგნოზები. წარმოდგენილია მხოლოდ ფაქტიური ხარჯები.

წარმოდგენილი ნაშთებიდან საყურადღებოა ტერიტორიულ მართვის ორგანოებში სასაქონლო ნაშთები, რომელიც 2021 წლის 1 აპრილისათვის შეადგენს 117693.90 ლარს.

ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგად აღნიშნულია, რომ დაუსრულებელია მოსახლეობისათვის გადაცემული სამშენებლო მასალების გამოყენების მდგომარეობა.

მოსაწესრიგებელია ა(ა)იპ ზე მატერიალურ ფასეულობათა გადაცემა.

დაუსრულებელია ინვენტარიზაციები.

მუნიციპალიტეტის მიერ გარკვეული საქონლის თუ მომსახურეობის შესყიდვისათვის ტენდერები გამოცხადებული უნდა იყოს დროულად, რათა თავიდან იქნას აცილებული მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდვის შედეგად განსახორციელებელი მომსახურეობის გაწევის დაგვიანება და მომსახურეობის გადაუდებელი თუ სხვა ალტერნატიული შესყიდვით განხორციელება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომსახურეობის ტენდერებთან შედარებით ზედმეტ ფასად შესყიდვა.

აუცილებელია მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს ქონდეთ ინფორმაცია ეკონომიკის სამინისტროს მიერ გაყიდულ მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც მდებარეობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, რათა მოხდეს დროული კომუნიკაცია.

კომისიის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე:6

წინააღმდეგი:0

საკითხს თან ერთვის დანართი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა

სხდომის დღის წესრიგით მიხედვით საკითხი ამოიწურა
სხდომა დახურულად გამოცხადდა

კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე